წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ო ქ მ ი №1

ქ. წყალტუბო 23.05.2025 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები: ზურაბ ჯანელიძე, მარინა ჭავჭანიძე, მანანა ჩაკვეტაძე, ედიშერ გედენიძე, ნიკოლოზ გურეშიძე, დავით მესხი, თეიმურაზ ფირცხალავა, გიორგი ტყაბლაძე, გიორგი რეხვიაშვილი, მარინა ღურჭუმელიძე, ნატო ჯოხაძე, გურამ ჩიხლაძე და ლუიზა ჩაკვეტაძე. აგრეთვე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი - გენადი ბალანჩივაძე, მერის მოადგილე - გია კვასტიანი, მერის თანაშემწე - ირმა ხელაძე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ფატი გაგოშიძე, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - მარეხი კანკაძე, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ვახტანგ ნადარეიშვილი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ნათია ჩაკვეტაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილების უფროსი - ნათია გახოკიძე და იურიდიულ საკითხთა განყოფილების სპეციალისტი - ანა ზვიადაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

   გ. ბალანჩივაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.

   გ. ბალანჩივაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის შესახებ.

გ. ბალანჩივაძე - წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის მერი

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ფ. გაგოშიძე - მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი

მოისმინეს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის ინფორმაცია, მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" შესული ცვლილებებიდან გამომდინარე განხორციელდა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გამოხატა საბჭოს ყოფილი წევრების მიმართ და სხდომას გააცნო საბჭოს განახლებული შემადგენლობა.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ტყაბლაძემ, გიორგი რეხვიაშვილმა, მარინა ღურჭუმელიძემ, ნატო ჯოხაძემ, გურამ ჩიხლაძემ, ლუიზა ჩაკვეტაძემ, რომლებმაც მადლობა გადაიხადეს მერის მრჩეველთა საბჭოში ნდობის გამოცხადებისათვის.

დაადგინეს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებები მიღებულ იქნას ცნობად.

მოისმინეს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის ინფორმაცია მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით მესხმა, რომელმაც საბჭოს, მომდევნო ერთი წლის ვადით ასარჩევად წარუდგინა ზურაბ ჯანელიძის კანდიდატურა.

ედიშერ გედენიძემ და ნიკოლოზ გურეშიძემ მხარი დაუჭირეს საბჭოს თავმჯდომარედ წარმოდგენილ კანდიდატს.

დაადგინეს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას - ზურაბ ჯანელიძე.

მოისმინეს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის ინფორმაცია მრჩეველთა საბჭოს მდივნის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ ჯანელიძემ, რომელმაც საბჭოს, მდივნად ასარჩევად შესთავაზა მარინა ჭავჭანიძის კანდიდატურა.

მანანა ჩაკვეტაძემ და თეიმურაზ ფირცხალავამ, რომლებმაც საბჭოს მდივნად ასარჩევად მხარი დაუჭირეს მარინა ჭავჭანიძის კანდიდატურას.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას - მარინა ჭავჭანიძე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ფატი გაგოშიძის ინფორმაცია-,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ''

აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) შესრულებამ შეადგინა 14 345.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100.5%. შედეგად ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდა 7 143,3 აასი ლარით. მათ შორის: გზებისა და ტროტუარების შეკეთება 375,1 ათასი ლარით,ხიდებისა და ბოგირების რეაბილიტაცია 18,0 ათასი ლარით, სასმელი წყლით უზრუნველყოფა 124,8 ათასი ლარით, გარე განათება 255,3 ათასი ლარით, დასუფთავება და გარემოს დაცვა 659,2 ათასი ლარით

საბავშვო ბაღების გაერთიანება დაფინანსდა 1 534,6 ათასი ლარით; კულტურა, რელიგია,ახალგაზრდობა და სპორტი - 5 459,4ათასი ლარით

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის გამოიყო 1 016,5 ათასი ლარი,რომელიც მოხმარდა სათნოების სახლს,ინკლუზიურ ცენტრს, დღეგრძელი პირების წახალისებას,ერთჯერად ფულად დახმარებას, სამედიცინო დახმარების დაფინანსებას, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებას,სოციალურად დაუცველთათვის სახლების მშენებლობა-შეძენას, განსაკუთრებული საჭიროების ბავშვიანი ოჯახების დახმარებას.

კონკრეტულად: სათნოების სახლში ერთჯერადი კვებით სარგებლობს 220 სოციალურად დაუცველი შეჭირვებული მოქალაქე, ინკლუზიურ ცენტრში - ორჯერადი კვებით - 19 ბენეფიციარი, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 87 მრავალშვილიან ოჯახს, სხვადასხვა დაავადების მქონე 501 პირს, 290 მოქალაქე თანადაფინანსდა ქირურგიული ოპერაციის ჩასატარებლად, სტიქიის შედეგად დაზარალებულმა 28 ოჯახმა მიიღო ერთჯერადი ფულადი დახმარება, განსაკუთრებული საჭიროების 9 სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის შეძენილ იქნა საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ინვენტარი, თავშესაფრის გარეშე მყოფი 40 მოქალაქე შეყვანილ იქნა ბინებში და მათთვის ბინის ქირის სახით ყოველთვიურად გამოიყოფა 300 – 300 ლარი

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: გენადი ბალანჩივაძემ, რომელმაც ვრცლად განიხილა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები. შეეხო ,,ცივი

ტბის“ რეაბილიტაციის დასრულების საკითხს, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მოეწყო სათევზაო და ნავმისადგომი ადგილები, ტბის გარშემო საფეხმავლო და ველო ბილიკები. ტერიტორია გამწვანდა დამატებითი ნარგავებით, დამონტაჟდა განათების სისტემა და მოეწყო საავტომობილო პარკინგი.

აღნიშნა, რომ 2025 წლის განმავლობაში განახლდება სპორტული მოედნები, აშენდება ახალი საფეხბურთო სტადიონი. მოეწყობა მწვანე მასის გადამამუშავებელი საწარმო. კეთილმოეწყობა ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის, სანატორიუმ ,,შახტიორისა“ და სასტუმრო ,,პრომეთეს“ მიმდებარე ტერიტორიები. აფხაზეთის ქუჩაზე აშენდება რაგბის სტადიონი. კიდევ უფრო განვითარდება სპორტული ტურიზმი.

კურორტის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის შედეგად, გაუმჯობესდება ტურისტული ინფრასტრუქტურა. შესაბამისად, შეიქმნება ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები. ადგილზე მცირე და საშუალო ბიზნესის (ოჯახური ტიპის სასტუმროები, მაღაზიები, კაფეები და ა.შ)განვითარება ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. რეაბილიტაციის პროექტი ხელსაყრელ გარემოს შექმნის ბალნეოლოგიური კურორტის მუშაობისთვის და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქალაქის განვითარებისათვის, რაც წყალტუბოს წამყვანი საკურორტო ქალაქის სტატუსს დაუბრუნებს.

ლუიზა ჩაკვეტაძემ, მარინა ღურჭუმელიძემ და ნატო ჯოხაძემ, რომლებმაც ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან ერთად ყურადღება გაამახვილეს საკანალიზაციო ქსელის მოსაწესრიგებლად სამუშაოების პარალელურად არსებულ გადათხრილ გზებზე, უხარისხო გარე განათებაზე, სასტუმრო ,,პრომეთეს“ წინ მოუწესრიგებელ საგზაო მოძრაობაზე, გასულ წლებში დაწყებული კორპუსების გარე ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების შეჩერებაზე, უმეთვალყურეო, უპატრონო ძაღლების სიმრავლეზე, ქალაქის მიმდებარე ტყის კეთილმოწობის აუცილებლობაზე

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ფატი გაგოშიძის ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

2. მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის წინაშე რეკომენდაციის სახით დაისვას საკითხები, რათა შესაძლებლობის შემთხვევაში თანხები წარიმართოს:

2.1. საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების პარალელურად, გადათხრილი გზების შესაკეთებლად და მოსაწესრიგებლად;

2.2. ქალაქის გარე განათების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ახალი სანათების დასაყენებლად;

2.3. სასტუმრო ,,პრომეთეს" წინ ავარიული სიტუაციების აღმოსაფხვრელად, საგზაო მოძრაობის მოსაწესრიგებლად;

2. 4. კორპუსების გარე ფასადების სარეაბილიტაციოდ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

მდივანი მ. ჭავჭანიძე